

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა აცხადებს ვაკანსიას
სტატისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე

სამსახურის ადგილმდებარეობა - თბილისი

სამუშაოს აღწერა:

- სტატისტიკის სამსახურში შემოსული კორესპონდენციის განხილვა, დახარისხება, შესაბამისი პასუხის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დროულად მომზადება და გაცემის უზრუნველყოფა;
- სამსახურში შემოსული და გასული კორესპონდენციის, მათ შორის ელექტრონული ფორმატით, დაარქივება;
- ინფორმაციის შეგროვების უზრუნველყოფა, დამუშავება და მონაცემთა ბაზებში ასახვა;
- მონაცემების შეგროვებისას შესაბამის ბენეფიციარებთან საქმიანი კომუნიკაციის წარმოება;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება.

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება, სასურველია ტექნიკური მიმართულებით;
- სასურველია მსგავს თანამდებობაზე არანაკლებ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- SQL და PL/SQL ცოდნა;
- საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
- სასურველია მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება;
- წერიტი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი.

პიროვნული თვისებები:

- ყურადღების კონცენტრირების მაღალი დონე;
- ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;
- საქმიანი ურთიერთობების წარმოების უნარ-ჩვევები;
- სამუშაოს დათქმულ ვადებში შესრულების უნარი.

სამართლებრივი აქტების ცოდნა:

-  საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
-  ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №193/ნ;
-  ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №05/ნ;;
-  საჯარო სკოლებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №14/ნ;
-  საჯარო სკოლებზე თითოეული სერტიფიცირებული მასწავლებლისათვის, მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე თითოეული სერტიფიცირებული მასწავლებლისათვის, მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე იმ თითოეული სერტიფიცირებული მასწავლებლისათვის, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით განეკუთვნება საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებელს, საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე თითოეული მასწავლებლისათვის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების და ჩვენი საქართველოს საგნების თითოეული მასწავლებლისათვის და საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის მასწავლებლის სერტიფიკატის მფლობელი იმ თითოეული მასწავლებლისათვის, რომელიც ასწავლის შესაბამის საგანს შესაბამის საფეხურზე ან/და დაწყებითი საფეხურის V და VI კლასებში ყოველთვიურად დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №42/ნ;
-  საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის პროფესიულ კოლეჯ „აიტის“ რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №229/ნ;
- ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №9;
- “საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №576;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვაუჩერის გაცემისა და გადატანის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №168/ნ-№373.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ, გამოაგზავნონ CV საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ვებ - გვერდის (www.hr.gov.ge) საშუალებით.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2015 წლის 19 აგვისტო

გამოქვეყნებულია 10.08.2015